ოქმი № 21

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ 21-ე სხდომისა

23 ივნისი, 2023 წელი

ფრაქციის სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, მარეხ ნიჟარაძე.

ფრაქციის სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: მხეიძე დიმიტრი, ბასილაძე გია, ლილუაშვილი პაატა, მახარაძე ბაქარ, ბიბილეიშვილი ჯემალ, სიმონიძე მაია, ჯუღელი თეა, მამასახლისი ზაქრო, შენგელია ირაკლი, ნადირაძე თეიმურაზ, რიჟამაძე მამუკა, კოპალეიშვილი ამირან, გიორგაძე მიხეილ.

სულ: 17 წევრიდან- 14 წევრი

არ ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ხამაშურიძე ბესიკ,კოსტავა მაგდა,ჩიხლაძე მანანა.

სულ: 3 წევრი

სხდომა გახსნა ფრაქციის თავმჯდომარემ, მარეხ ნიჟარაძემ და წარმოადგინა ფრაქციის **21-ე** სხდომის **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი ს** შემდეგი პროექტი **:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დადგენილი ახალი კვოტების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში ფრაქციის წევრის, მიხეილ გიორგაძის წარდგენის შესახებ

მარეხ ნიჟარაძე
ფრაქციის თავმჯდომარე

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ფრაქციის 21-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით განსახილველი საკითხის – **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დადგენილი ახალი კვოტების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში ფრაქციის წევრის, მიხეილ გიორგაძის წარდგენის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფრაქციის თავმჯდომარემ, **მარეხ ნიჟარაძემ აღნიშნა:** გამომდინარე იქედან, რომ ფრაქცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობა გაიზარდა ერთი წევრით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დადგენილი ახალი კვოტების შესაბამისად, ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ თითი-თითო ერთეულით გაეზარდა კვოტა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში. ფრაქციის ახალმა წევრმა, ბატონმა მიხეილ გიორგაძემ პირადი განცხადებით, სურვილი გამოხატა აღნიშნულ კომისიებში გაერთიანების თაობაზე. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია, დაკმაყოფილდეს ბატონი მიხეილის განცხადება და ფრაქციიდან წარდგენილ იქნეს იგი ხსენებული კომისიების შემადგენლობებში წევრად. “

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ფრაქციის წევრებმა: **თეა ჯუღელმა, პაატა ლილუაშვილმა, ბაქარ მახარაძემ და მამუკა რიჟამაძემ** გამოხატეს მხარდაჭერა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში ფრაქციის წევრის, მიხეილ გიორგაძის წევრად წარდგენის შესახებ.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დადგენილი ახალი კვოტების შესაბამისად, ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში** წევრად წარდგენილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, მიხეილ გიორგაძე.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის** კომისიაში ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილ შემადგენლობაში შეტანილ იქნა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. **ჯუღელი თეა**
2. **ჩიხლაძე მანანა**
3. **ნიჟარაძე მარეხ**
4. **ხამაშურიძე ბესიკ**
5. **ბიბილეიშვილი ჯემალ**
6. **გიორგაძე მიხეილ**

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილ შემადგენლობაში შეტანილ იქნა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. **რიჟამაძე მამუკა**
2. **შენგელია ირაკლი**
3. **ნადირაძე თეიმურაზ**
4. **მხეიძე დიმიტრი**
5. **კოსტავა მაგდა**
6. **ჩიხლაძე მანანა**
7. **გიორგაძე მიხეილ**

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დადგენილი კვოტების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების შემადგენლობებში ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ მიხეილ გიორგაძის წარდგენისა და აღნიშნულის გამო, ამ კომისიებში ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილ შემადგენლობებში შეტანილი ცვლილების შესახებ ეცნობოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.

ამით, ფრაქცია „ქართული ოცნების“ 21-ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“
თავმჯდომარე მერეხ ნიჟარაძე